საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ვ. ხ., ვ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.10.2017

საჩივრის რეგისტრაციის №084/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ც.-ის მიმართ, სიითი № ...., სპეციალიზაცია - საერთო.

ადვოკატის წარმომადგენელი: ადვოკატი მ. ნ., სიითი №....

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ც.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ვ. და ვ. ხ.-ებმა და მოითხოვეს ადვოკატ ნ. ც.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 16 იანვარს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორებმა ზეპირი ფორმით წარმოადგინეს ახსნა-განმარტება. 2018 წლის 27 ივნისს

საჩივრის ავტორებმა წარმოადგინეს ზეპირი ფორმით ახსნა-განმარტებები განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ როგორც მოპასუხე მხარეებს ჰქონდათ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სასამართლო დავა. კერძოდ, მოსარჩელე მხარე ითხოვდა ვ. და ვ. ხ.-ების, აგრეთვე მათი შვილების - ლ. და ლ. ხ.-ების მიმართ თანხის დაკისრებას და ქონების რეალიზაციას. საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2016 წლის 21 იანვარს ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც მხარეებმა მორიგების სურვილი გამოთქვეს და აღნიშნული საფუძვლით სასამართლო სხდომა გადაიდო.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ისინი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდას სახლის გაყიდვის გარეშე ვერ შეძლებდნენ და ამიტომ, გადაწყვიტეს ადვოკატისთვის მიემართათ, რომელსაც მათი ინტერესები უნდა დაეცვა და მოწინააღმდეგე მხარესთან მათთვის სასურველი მორიგების გაფორმებაში დახმარებოდა, წარმოედგინა მათი ინტერესები სასამართლოში. ვ. და ვ. ხ.-ების განცხადებით, მათ 2016 წლის 12 თებერვალს ადვოკატ ნ. ც.-ის სახელზე გააფორმეს მინდობილობა და ჰონორარის სახით გადაუხადეს 1000 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატი ნ. ც. არ გამოცხადდა 2016 წლის 05 ივლისს დანიშნულ სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას სასამართლომ 2016 წლის 15 ივნისს ტელეფონის მეშვეობით შეატყობინა სხდომის თარიღი. მოცემული სხდომის ჩანიშვნის თაობაზე ადვოკატს საჩივრის ავტორებისათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, რის შედეგადაც, 2016 წლის 05 ივლისს სასამართლო სხდომა გაიმართა მოპასუხე მხარეთა და მათი წარმომადგენლის ადვოკატ ნ. ც.-ის დაუსწრებლად. აღნიშნულ სხდომაზე მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუმცა საჩივრის ავტორების განმარტებით, მოსარჩელე მხარემ გამოიჩინა ჰუმანურობა და თავისი ინიციატივით შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, 22160 აშშ დოლარის ნაცვლად მოითხოვა 21000 აშშ დოლარის გადახდა.

1.5 ვ. და ვ. ხ.-ების განმარტებით, ადვოკატს სასამართლო სხდომამდე ერთი დღით ადრე მაინც რომ ეცნობებინა რაიონში ყოფნის მიზეზით სასამართლოში მისი გამოუცხადებლობის თაობაზე, თავად საჩივრის ავტორები გამოცხადდებოდნენ სხდომაზე და სასამართლო არ მიიღებდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

1.6 საჩივრის ავტორთა განცხადებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დღეს, 2016 წლის 05 ივლისს ნ. ც.-მა მიმართა სასამართლოს განცხადებით, სადაც აღნიშნა, რომ იგი სხდომის თარიღის შესახებ იყო გაფრთხილებული, მაგრამ რაიონში ყოფნის გამო დააგვიანდა სხდომაზე გამოცხადება; ასევე, მიუთითა, რომ მისი მარწმუნებლები არ იყვნენ ინფორმირებულები ამის თაობაზე მის მიერ.

1.7 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2016 წლის 22 ივლისს ადვოკატმა ნ. ც.-მა საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება. 2016 წლის 29 სექტემბერს სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატ ნ. ც.-ის თხოვნა და განჩინებით უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

1.8 ვ. და ვ. ხ.-ების განმარტებით, ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ სასამართლო სხდომის თარიღი მასაც სხდომამდე ერთი საათით ადრე ეცნობა, რის გამოც ადვოკატმა ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

1.9 ადვოკატმა ნ. ც.-მა 2016 წლის 24 ოქტომბერს საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და გაასაჩივრა პირველი ინსტანციის 2016 წლის 05 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ ასევე დამოუკიდებლად მიმართეს სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ვ. და ვ. ხ.-ებს, როგორც აპელანტებს შეუმცირა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 420 აშშ დოლარამდე, თუმცა ვ. და ვ. ხ.-ების განცხადებით, მათ ვერ მოახერხეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა დადგენილ დროში და 2017 წლის 12 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

1.10 სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, მათ უნდა გადაეხადათ მოსარჩელე მხარისათვის 21 000 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო მათი საცხოვრებელი სახლის რეალიზება.

1.11 ვ. და ვ. ხ.-ების განცხადებით, სასამართლოს დაუსწრებელმა გადაწყვეტილებამ მათ მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკების წარმოების და თანხის შემცირებაზე მორიგების ყველანაირი შესაძლებლობა მოუსპო. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ისინი ენდობოდნენ ადვოკატ ნ. ც.-ს და ჰქონდათ იმედი, რომ მოლაპარაკებების გზით ხელსაყრელი და სასურველი შედეგი დადგებოდა და ბინის გაყიდვის შემდგომ, დარჩებოდათ თანხა - დაახლოებით 5000 აშშ დოლარი, რომლითაც შეძლებდნენ საცხოვრებელი ფართის დაგირავებას, თუმცა ადვოკატის უმოქმედობით მარწმუნებლების ინტერესები დაზიანდა, რამაც გამოუსწორებელი შედეგი დააყენა. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათი მიზანი არ ყოფილა საქმის გაჭიანურება, როგორც ამას ადვოკატი ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში უთითებს. ვ. და ვ. ხ.-ების განცხადებით, ადვოკატთან კომუნუკაციის პრობლემა ჰქონდათ. კერძოდ, ადვოკატი იშვიათად პასუხობდა სატელეფონო ზარებს.

1.12 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ამ ურთულეს სიტუაციაში აღმოჩენის შედეგად იძულებულნი გახდნენ სასწრაფოდ გაეყიდათ მათი საცხოვრებელი ბინა. ვ. და ვ. ხ.-ების განმარტებით, მათ უძრავი ქონების გაყიდვის დღეს გადასცეს მოწინააღმდეგე მხარეს მათზე დაკისრებული თანხა, რის შედეგადაც, დარჩნენ უსახლკაროდ. მომჩივანთა განმარტებით, ეს ვითარება პირადად ადვოკატის უმოქმედობამ გამოიწვია.

1.13 ვ. და ვ. ხ.-ების განმარტებით, საქმის სასამართლო განხილვის დროს ადვოკატმა ნ. ც.-მა ისინი დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება და მოითხოვა საქმესთან დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარებისთვის საჭირო თანხა - 500 (ხუთასი) ლარი, რომელიც გადასცეს ადვოკატს. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ მოგვიანებით ექსპერტიზის ბიუროში დააზუსტეს, რომ აღნიშნული ექსპერტიზისათვის მხოლოდ 100 (ასი) ლარის გადახდა იყო საჭირო.

2. მოწმე ლ. ხ.-ს ახსნა-განმარტება:

2.1 2018 წლის 27 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმე ლ. ხ.-მ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის მშობლებთან ერთად შეუთანხმდა ადვოკატ ნ. ც.-ს საადვოკატო მომსახურებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მათ საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვა მოუწევდათ, მოდავე მხარესთან ძირი თანხის გადახდაზე მაინც შეთანხმებულიყვნენ.

ლ. ხ.-ს განმარტებით, მან ადვოკატ ნ. ც.-ს ჰონორარის სახით ხელზე გადასცა 1000 ლარი და დამატებით ადვოკატის მოთხოვნით 500 ლარი ექსპერტიზის ხარჯებისთვის და 80 ლარი სასამართლოში საჩივრის შეტანისთვის.

2.2 ლ. ხ.-ს განცხადებით, ადვოკატი ნ. ც. ხშირად სთხოვდა თანხის გადახდას საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის ეუბნებოდა რომ სახელმწიფო ბაჟი იყო გადასახდელი ან სასამართლოში შესატანი იყო ესა თუ ის დოკუმენტი, კონკრეტულად რა ხდებოდა საქმის თაობაზე - არ ეუბნებოდა.

2.3 ლ. ხ.-ს განცხადებით, მან სასამართლოს მეშვეობით შეიტყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და შემდგომ, თავად დაუკავშირდა ადვოკატ ნ. ც.-ს, რომელმაც უთხრა, რომ ერთი საათით ადრე შეატყობინეს სხდომის თარიღის შესახებ და იმ დროს რაიონში იმყოფებოდა.

2.4 ლ. ხ.-ს განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი რაიონში იმყოფებოდა, უნდა შეეტყობინებინა მათთვის ამის თაობაზე და თავად გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ნ. ც.-მა 2017 წლის 13 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2018 წლის 16 იანვრის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ახსნა-განმარტება გააკეთა. 2018 წლის 27 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატ ნ. ც.-ის წარმომადგენელმა მ. ნ.-მ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

3.2 ადვოკატ ნ. ც.-ის განმარტებით, ის შეუთანხმდა საჩივრის ავტორებსა და მათ შვილს - ლ. ხ.-ს წერილობითი ფორმით საადვოკატო მომსახურების თაობაზე და ჰონორარის სახით საჩივრის ავტორებისაგან მიიღო 1000 ლარი. ადვოკატმა ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ძირითადად ეკონტაქტებოდა საჩივრის ავტორების შვილს - ლ. ხ.-ს.

3.3 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ საქმეში ჩაერთო, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა მეორე მოსამზადებელი სხდომა. ვ. და ვ. ხ.-ებს გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდათ მოდავე (მოსარჩელე) მხარესთან, რომელსაც არ სურდა მორიგება.

3.4 ადვოკატის განცხადებით, ვ. და ვ. ხ.-ებთან ერთად საქმეში ერთ-ერთი მოპასუხე მხარე იყო მათი შვილი ლ. ხ., რომლის ადგილმდებარეობა უცნობი იყო და ამიტომ ისინი ადვოკატისგან ითხოვდნენ სასამართლო განხილვების გაჭიანურებას ლ. ხ.-ს გამოჩენამდე, რაც დაეხმარებოდათ მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგებაში.

3.5 ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტები არწმუნებდნენ მას, რომ ლ. ხ.-ს მიერ ვალის აღიარების საბუთზე ხელმოწერა იყო გაყალბებული და ითხოვდნენ შესაბამის რეაგირებას ადვოკატისგან. ადვოკატ ნ. ც.-ის განცხადებით, მან სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ხელმოწერის ნამდვილობის თაობაზე ჩატარებულიყო ექსპერტიზა. აღნიშნული მოთხოვნა სასამართლომ დააკმაყოფილა და დაინიშნა ექსპერტიზა 2016 წლის თებერვლის თვეში, თუმცა 2016 წლის ივლისამდე ექსპერტიზის პასუხი არ იყო მზად. ადვოკატის განმარტებით, ეს პერიოდი საკმარისი იყო მორიგების საწარმოებლად, თუმცა საჩივრის ავტორებმა არ გამოიყენეს აღნიშნული დრო მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებისთვის. ადვოკატ ნ. ც.-ის განმარტებით, მან თავისი ხარჯებით გადაიხადა კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარების

საფასური - 100 ლარი. ადვოკატის განმარტებით, მას ვ. და ვ. ხ.-ებისთვის არ უთქვამს, რომ ექსპერტიზისთვის 500 (ხუთასი) ლარის გადახდა იყო საჭირო.

3.6 ადვოკატის განცხადებით, მისი მარწმუნებლები ედავებოდნენ მოწინააღმდეგე მხარეს იმის თოაბაზე, რომ ისინი ბინას არ გაყიდნენ 25000 დოლარზე ნაკლებად, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ დარჩებოდათ 1000 დოლარი, რის გამოც მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო პროცესზე მოწინააღმდეგე მხარემ 1000 დოლარით შეამცირა მოთხოვნა, თუმცა მოცემული სხდომა ექსპერტიზის დანიშვნის გამო გადაიდო გაურკვეველი დროით.

3.7 ადვოკატ ნ. ც.-ის განმარტებით, 2016 წლის 05 ივლისს ჩანიშნული სხდომის თაობაზე მას ტელეფონის საშუალებით შეატყობინეს, თუმცა ამის შესახებ მას ვ. და ვ. ხ.-ებისთვის არ უცნობებია, რადგანაც ის, როგორც მათი წარმომადგენელი მაინც უნდა გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე და საჭიროდ აღარ ჩათვალა კლიენტების ინფორმირება. ადვოკატის განმარტებით, მას ისედაც უჭირდა მის მარწმუნებლებთან დაკავშირება, რადგან სატელეფონო ზარებს ხშირად არ პასუხობდნენ.

3.8 ადვოკატის განცხადებით, 2016 წლის 05 ივლისს ის რაიონიდან მიდიოდა სასამართლო სხდომაზე, თუმცა საცობების გამო აგვიანდებოდა ნახევარი საათით, რის შესახებაც გზაში ყოფნის დროს თანაშემწეს ტელეფონის მეშვეობით აცნობა, თუმცა სასამართლოში მისვლისას სხდომა უკვე დამთავრებული იყო. ადვოკატის განმარტებით, მან იმავე დღეს სასამართლოს კანცელარიაში ჩააბარა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ ის სხდომაზე ნახევარი საათით აგვიანებდა. ადვოკატის განმარტებით, მან მოითხოვა აღნიშნული განცხადების დართვა საქმეზე, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

3.9 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლეს არ უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან საქმის მიმდინარეობის პროცესი ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე იყო შეჩერებული, ხოლო 2016 წლის 05 ივლისს ექსპერტიზის დასკვნა იდო სასამართლოს კანცელარიაში და შესაბამისად, არ იყო წარმოდგენილი საქმეში.

3.10 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან ვ. და ვ. ხ.-ების შვილი - ლ. ხ. არ ცხადდებოდა სასამართლო სხდომებზე, მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო ოჯახის წევრებისათვის და უშუალოდ მისგან ვერ მოხერხდა ხელმოწერის ნიმუშების აღება, ამიტომ ხ.-ების ოჯახში მოპოვებული ხელწერის ნიმუშები წარუდგინეს ექსპერტს. ადვოკატის განცხადებით ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა, რომ დანამდვილებით არ დასტურდებოდა ხელმოწერის ნამდვილობა.

3.11 ნ. ც.-ის განმარტებით, მას ისეთი ქმედებები არ განუხორციელებია, რაც ვ. და ვ. ხ.-ების მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგების გაფორმებას შეუშლიდა ხელს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაშიც, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება მაინც საჭირო გახდებოდა და საქმის განხილვის პროცესი უფრო მალე დასრულდებოდა.

3.12 ადვოკატის განმარტებით, მან დიდი ძალისხმევის შედეგად ვ. და ვ. ხ.-ებს შეაგროვებინა საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის პენსიონერის პლასტიკური ბარათები, რის შემდეგაც ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან შემცირების შესახებ, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საჩივარი განუხილველად დატოვა ბაჟის გადაუხდელობის გამო.

3.13 ადვოკატის განცხადებით, მისი ძალისხმევის შედეგად მიღწეულ იქნა ვ. და ვ. ხ.-ების მიზანი, ჰქონოდათ გარკვეული პერიოდი მოსარჩელე მხარესთან მოსალაპარაკებლად, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებამ საქმე გააჭიანურა რამდენიმე თვით.

3.14 ნ. ც.-ის განმარტებით, მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი შეესაბამებოდა მის მიერ გაწეულ მომსახურებას. ადვოკატის განცხადებით, საქმის განხილვა წელიწადნახევარზე უფრო მეტხანს გაგრძელდა და კლიენტებთან შეთანხმების შესაბამისად, მან განახორციელა შესაბამისი იურიდიული მომსახურება, მათ შორის საქმის გაჭიანურებას შეუწყო ხელი, რაც საჩივრის ავტორთა სურვილი იყო, გაასაჩივრა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

3.15 ადვოკატ ნ. ც.-ის წარმომადგენლის განმარტებით, ყველას შეიძლება სასამართლო სხდომაზე დააგვიანდეს, ეს ადამიანური ფაქტორია, ადვოკატ ნ. ც.-მა სამართლებრივად ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საჩივრის ავტორთა ინტერესები დაეცვა, ის უგულისყუროდ არ მოეკიდა საქმეს. მ. ნ. და ადვოკატი ნ. ც. მუშაობენ ერთ ოფისში. სასამართლო სხდომის დღეს ადვოკატი ნ. ც. მივიდა ოფისში, რა დროსაც იქ იმყოფებოდა მ. ნ.-ც, რომელთანაც ნ. ც.-მა დარეკა საქალაქო სასამართლოში სხდომის დაწყებამდე 45 წუთით ადრე და აცნობა, რომ აგვიანდებოდა სხდომაზე გამოცხადება, რადგა მოდიოდა რაიონიდან.

3.16 მ. ნ.-ის განცხადებით, მინდობილობა ადვოკატ ნ. ც.-ის სახელზე გაცემულია მხოლოდ ვ. და ვ. ხ.-ების მიერ, ლ. ხ.-ს და ლ. ხ.-ს მიერ არ არის გაცემული რწმუნებულება. შესაბამისად, საჩივრის ავტორის შვილები - ლ. და ლ. ხ.-ები, რომ გამოცხადებულიყვნენ პროცესზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გამოვიდოდა, ამიტომ საჩივრის ავტორებს პრეტენზია მათი შვილების მიმართაც უნდა ჰქონდეთ.

3.17 ადვოკატ მ. ნ.-ის განმარტებით, 2016 წლის 05 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმის მიხედვით დასტურდება, რომ ლ. ხ.-ს და ლ. ხ.-ს სასამართლოს სხდომის დღის შესახებ ეცნობათ სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად. ადვოკატ მ. ნ.-ის განცხადებით, ადვოკატი ნ. ც. სასამართლო პროცესზე რომ გამოცხადებულიყო, სადავო თანხის ეტაპობრივად გადახდის საკითხზე ადვოკატი შუამდგომლობას ვერ დააყენებდა, რადგანაც ეს მხარეებს შორის უნდა გადაწყვეტილიყო.

3.18 ადვოკატ მ. ნ.-ის განცხადებით, ადვოკატმა ნ. ც.-მა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აპელაციის წესით, თუმცა გადასახდელი იყო სახელმწიფო ბაჟი. ადვოკატმა ნ. ც.-მა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე შემცირებულიყო ბაჟის ოდენობა, თუმცა ვ. და ვ. ხ.-ებმა არ გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი, რისი გადახდის ვალდებულებაც ადვოკატ ნ. ც.-ს არ ჰქონდა.

3.19 ადვოკატ ნ. ც.-ის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო აუცილებლად გააუქმებდა პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, იმ შემთხვევაში, თუ ბაჟი იქნებოდა გადახდილი მხარის მიერ.

3.20 ადვოკატ მ. ნ.-ის განცხადებით, ადვოკატ ნ. ც.-ის ბრალეულობის შედეგად არ მომხდარა საჩივრის ავტორების უსახლკაროდ დატოვება, არამედ თავად მათ არ მოინდომეს დროულად მოეძებნათ სასურველი მყიდველი და მათ მიერ მისაღებ ფასად გაეყიდათ ბინა.

4. მოწმე ნ. ჯ.-ის ახსნა-განმარტება:

4.1 2018 წლის 09 ივლისს მოწმე ნ. ჯ.-მა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ადვოკატი ნ. ც.-ს საადვოკატო მომსახურების თაობაზე მისი რჩევით შეუთანხმდა საჩივრის ავტორები. ნ. ჯ.-ს განცხადებით, ადვოკატ ნ. ც.-სგან იცოდა, რომ ლ. ხ. არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, ამიტომ მისი ტელეფონიდან დაუკავშირდა ადვოკატი ნ. ც. ლ. ხ.-ს და სთხოვა რომ მოდავე მხარესთან მოსალაპარაკებლად წასულიყვნენ, თუმცა უარი განუცხადა. ნ. ჯ.-ს განმარტებით, მეორედ მისი ტელეფონიდან ნ. ც. დაუკავშირდა ვ. ხ.-ს, რომელმაც განუცხადა, რომ ის სახელმწიფო ბაჟის თანხას ვერ გადაიხდიდა.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2018 წელის 26 იანვარს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ც.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ დადგენილად ჩათვალა, რომ ადვოკატი ნ. ც., როგორც ვ. და ვ. ხ.-ების წარმომადგენელი, არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არ აცნობა მოცემული სხდომის თარიღის შესახებ საჩივრის ავტორებს, რამაც გამოიწვია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა მისი მხრიდან დარღვეული ყოფილიყო შემდეგი მუხლები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები.

5.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს არ გაუწევია იურიდიული მომსახურება იმ მოცულობით, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა, შესაძლოა, მისი მხრიდან დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები

6.1 2016 წელს ვ., ვ. და ლ. ხ.-ები საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით შეუთანხმდნენ ადვოკატ ნ. ც.-ს და მას ჰონორარის სახით გადაუხადეს 1000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ვ. და ვ. ხ.-ების ზეპირი და წერილობითი ფორმით ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

2. ლ. ხ.-ს მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტება;

3. ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ ეთიკის კომისიაში ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

6.2 ადვოკატს უნდა წარმოედგინა საჩივრის ავტორთა ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში მათ მიმართ თანხის დაკისრების და მათი ქონების რეალიზაციის საკითხზე და ეწარმოებინა მოლაპარაკებები მოწინააღმდეგე მხარესთან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *ვ. და ვ. ხ.-ების ზეპირი და წერილობითი ფორმით ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
2. *ლ. ხ.-ს მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტება;*
3. *ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი 2016 წლის 11 თებერვალს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება - ს.ფ.75;*
4. *2016 წლის 12 თებერვალს ვ. და ვ. ხ.-ების მიერ ადვოკატ ნ. ც.-ის სახელზე გაცემული მინდობილობა - ს.ფ. 33;*

6.3 ვ. და ვ. ხ.-ების წარმომადგენელს - ადვოკატ ნ. ც.-ს დადგენილი წესით ეცნობა 2016 წლის 05 ივლისს დანიშნული სხდომის თარიღის შესახებ და გამოუცხადებლობის შედეგები, თუმცა ის არ გამოცხადებულა სასამართლოს სხდომაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ეთიკის კომისიაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

2. 2016 წლის 05 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება - ს.ფ. 38;

3. ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ აქტი - ს.ფ. 31

6.4 2016 წლის 05 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხე მხარეებს - ვ. და ვ. ხ.-ებს დაეკისრათ დავალიანების - 21 000 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *ეთიკის კომისიაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
2. *2016 წლის 05 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება - ს.ფ.24*

6.5 2016 წლის 05 ივლისს ადვოკატმა ნ. ც.-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა განცხადება, როგორც მოპასუხეთა მხარის (ვ., ვ. და ლ. ხ.-ების) წარმომადგენელმა და მიუთითა, რომ მას დააგვიანდა სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, ხოლო მისმა მარწმუნებლებმა არ იცოდნენ სხდომის თარიღის თაობაზე და დაგვიანება ჩართვოდა საპატიოდ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2016 წლის 05 ივლისს ადვოკატ ნ. ც.-ის, როგორც ლ. ხ.-ს წარმომადგენლის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი განცხადება - ს.ფ.20;

6.6 ადვოკატმა ნ. ც.-მა, როგორც ვ., ვ. და ლ. ხ.-ების წარმომადგენელმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 05 ივლისს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება. განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2016 წლის 22 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ადვოკატ ნ. ც.-ის, როგორც ვ., ვ. და ლ. ხ.-ების წარმომადგენლის საჩივარი 2016 წლის 05 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე - ს.ფ. 21

6.7 2016 წლის 27 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით უარი ეთქვა ადვოკატ ნ. ც.-ს, როგორც ვ., ვ. და ლ. ხ.-ების წარმომადგენელს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და 2016 წლის 05 ივლისს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2016 წლის 27 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღების შესახებ განჩინება - ს.ფ. 35

6.8 2016 წლის 24 სექტემბერს ადვოკატმა ნ. ც.-მა, როგორც ვ., ვ. და ლ. ხ.-ების წარმომადგენელმა აპელაციის წესით გაასაჩივრა 2016 წლის 05 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1.ეთიკის კომისიაში მხარეთა მიერ წარმოდგენელი ახსნა-განმარტებები;
2.2016 წლის 24 სექტემბრის სააპელაციო საჩივარი - ს.ფ. 47

6.9 2016 წლის 08 დეკემბერს ადვოკატმა ნ. ც.-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, როგორც ვ. და ვ. ხ.-ების წარმომადგენელმა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე;
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *2016 წლის 08 დეკემბრის განცხადება - ს.ფ.85*
2. *ეთიკის კომისიაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*

6.10 ადვოკატმა ნ. ც.-მა, როგორც ვ., ვ. და ლ. ხ.-ების წარმომადგენელმა მიმართა განცხადებით სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების მოთხოვნით;
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *ეთიკის კომისიაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
2. *2017 წლის 06 თებერვლის განცხადება - ს.ფ. 86*

6.11 2017 წლის 01 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით აპელანტებს ვ., ვ. და ლ. ხ.-ებს შეუმცირდათ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 420 აშშ დოლარამდე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2017 წლის 01 მარტის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება - ს.ფ. 56

6.12 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიხედვით აპელანტების - ვ., ვ. და ლ. ხ.-ების საჩივარი დარჩა განუხილველი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
2017 წლის 12 აპრილის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ - ს.ფ. 60

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ შეისწვლა დისციპლინური საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა, რომ ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, ასევე, კლიენტისთვის მიყენებული ზიანი.

8. სამართლებრივი შეფასება

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები:
,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.''

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად ... უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

8.2 ადვოკატს კლიენტთან შეთანხმების შემდგომ, წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ვალდებულებები, მათ შორის კვალიფიციურად განახორციელოს იურიდიული მოქმედებები, რისთვისაც მიმართავს მას კლიენტი. ადვოკატის მიერ მასზე მინდობილი საქმის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად წარმოება შეუძლებელია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვის გარეშე. ადვოკატმა დროულად უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია თავის კლიენტს.

8.3 კვალიფიციურ მომსახურებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და ნდობის პრინციპი, რადგან კლიენტი საქმის შედეგით

დაინტერესებულ პირს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ადვოკატისათვის მინდობილი საქმის თაობაზე ინფორმაციას.

8.4 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კვალიფციური წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“(იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #096/11, 25.07.2012)

8.5 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე #096/14 განმარტა, რომ „ადვოკატი კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციას უნდა აწვდიდეს მასთან შეთანხმებული წესის მიხედვით. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრული, შეესაბამებოდეს საქმის მიმდინარეობას და მიწოდებული იყოს კლიენტისათვის გასაგებ ენაზე. კლიენტისათვის ინფორმაციის სრულად, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას“.

8.6 ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების განაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #092/11, სადაც განმარტა, რომ „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების განაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია ზედმიწევნით განუმარტოს კლიენტს საკითხები, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება“.

8.7 განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე ვ. და ვ. ხ.-ების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დაიტვირთა იპოთეკით, რის შემდგომაც, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სასამართლო დავა წარმოიშვა ვ. და ვ. ხ.-ების მიმართ თანხის დაკისრების და მათი ქონების რეალიზაციის საქმეზე. ადვოკატ ნ. ც.-ს უნდა წარმოედგინა ვ. და ვ. ხ.-ების ინტერესები სამივე ინსტანციის სასამართლოში. საჩივრის ავტორები უთითებენ, რომ ადვოკატებს მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა მოდავე მხარესთან, რათა შემცირებულიყო გადასახდელი თანხის ოდენობა და ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, საჩივრის ავტორებს შესძლებოდათ დარჩენილი თანხის განახდის სანაცვლოთ ჰქონოდათ შესაძლებლობა მოეძებნათ საცხოვრებელი ფართი დროებითი სარგებლობის უფლებით. დგინდება, რომ ადვოკატ ნ. ც.-ს, როგორც მოპასუხე მხარეების წარმომადგენელს 2016 წლის 15 ივნისს ეცნობა სხდომის დანიშვნის დრო: 2016 წლის 05 ივლისი, 12:30 წთ. აგრეთვე, ეცნობა სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგები (ს.ფ. 31 - ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ აქტი). 2016 წლის 05 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ვ. და ვ. ხ.-ების საქმეზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო და აღნიშნა, რომ მოპასუხეთა წარმომადგენელს - ადვოკატ ნ. ც.-ს დადგენილი წესით ეცნობა სხდომის თარიღის შესახებ, თუმცა ის არ გამოცხადებულა სასამართლოს სხდომაზე და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია სასამართლოსთვის (2016 წლის 05 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებან - ს.ფ.38).

8.8 ადვოკატი ნ. ც. უთითებს, რომ მას ვ. და ვ. ხ.-ების საქმესთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე მისვლა დააგვიანდა ნახევარი საათით, რადგან ბრუნდებოდა რაიონიდან, რის თაობაზეც სხდომის დაწყებამდე ტელეფონის მეშვეობით აცნობა თანაშემწეს და სასამართლოში მისვლისთანავე წარადგინა განცხადება, თუმცა სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად მხოლოდ დაგვიანების მითითება სასამართლომ არ ჩათვალა საპატიო მიზეზად და არ დააკმაყოფილა ადვოკატ ნ. ც.-ის 2016 წლის 22 ივლისს წარდგენილი საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე (2016 წლის 27 ივლისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ - ს.ფ. 35). ადვოკატმა აპელაციის წესით გაასაჩივრა თავისი კლიენტების - ვ. და ვ. ხ.-ების მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბაჟის შემცირების და გადახდის გადავადების თაობაზე (2016 წლის 24 სექტემბრის სააპელაციო საჩივარი - ს.ფ. 47 2016 წლის 08 დეკემბრის განცხადება - ს.ფ.85; 2017 წლის 06 თებერვლის განცხადება - ს.ფ. 86). საჩივრის ავტორების და მოწმე ლ. ხ.-ს პოზიციით მათ ვერ შეძლეს სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რის გამოც საჩივარი დარჩა განუხილველი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო (2017 წლის 12 აპრილის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ - ს.ფ. 60).

8.9 ადვოკატი ნ. ც.-ის პოზიციით, ის კვალიფიციურად ახორციელებდა საჩივრის ავტორთა ინტერესების დაცვას. ადვოკატის წარმომადგენელი მ. ნ. უთითებს, რომ ადვოკატმა ნ. ც.-მა ყველაფერი გააკეთა ვ. და ვ. ხ.-ების ინტერესების სასარგებლოდ და სასამართლო სხდომაზე დაგვიანებისგან არავინაა დაზღვეული. განხილვის კოლეგია მოცემულ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორებმა ადვოკატს მიმართეს იურიდიული დახმარების მიღების მიზნით და მიანდეს თავიანთი საქმე, მათ შორის მას უნდა გაეწია წარმომადგენლობა სასამართლოში. ადვოკატი ნ. ც. თავად ადასტურებს და უთითებს სასამართლოსადმი მიმართულ განცხადებებში, რომ მხოლოდ მას ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღის თაობაზე და მისი მარწმუნებლებისთვის ამის შესახებ არ უცნობებია, რადგან სწორედ ის უნდა გამოცხადებულიყო, როგორც წარმომადგენელი აღნიშნულ სხდომაზე. ადვოკატ ნ. ც.-ის წარმომადგენლის ადვოკატ მ. ნ.-ის პოზიციით მხოლოდ ადვოკატ ნ. ც.-ის გამოუცხადებლობის მიზეზით არ გამოსულა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ მოცემულ საქმეში, ვ. და ვ. ხ.-ების გარდა, მოპასუხე მხარედ მითითებული იყვნენ მათი შვილები ლ. და ლ. ხ.-ები, რომლებსაც უნდა სცოდნოდათ სასამართლოს მეშვეობით სხდომის თარიღის თაობაზე, რადგან საქმეში ადვოკატ ნ. ც.-ის სახელზე მინდობილობა გაცემულია მხოლოდ ვ. და ვ. ხ.-ების მიერ.

8.10 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართული განცხადებები, მათ შორის სააპელაციო საჩივარი ადვოკატ ნ. ც.-ს წარდგენილი აქვს, როგორც ვ., ვ. და ლ. ხ.-ების წარმომადგენელს, აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე მიღებული განჩინებების მიხედვით, ადვოკატი ნ. ც. მითითებულია, როგორც ვ., ვ. და ლ. ხ.-ების წარმომადგენელი. ადვოკატი ნ. ც. თავად ადასტურებს იმ გარემოებას რომ მას ვ. და ვ. ხ.-ებთან შედარებით საქმის თაობაზე კომუნიკაცია ჰქონდა ლ. ხ.-სთან. ამავე დროს, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა ვ., ვ. და ლ. ხ.-ებთან. ადვოკატი ნ. ც. აცნობიერებდა, რომ ის წარმოადგენდა არა მხოლოდ ვ. და ვ. ხ.-ების, არამედ ლ. ხ.-ს ინტერესებს და მხოლოდ მას ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღის თაობაზე. ადვოკატი ნ. ც. თავად ადასტურებს თავისი ახსნა-განმარტებით, რომ მის მიერ ვ., ვ. და ლ. ხ.-

ებისთვის საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპიდანვე ლ. ხ.-ს ადგილსამყოფელი უცნობი იყო და სწორედ მის გამოჩენამდე მისი მოვალეობა იყო მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებების წარმოება და საქმის გაჭიანურება. აღნიშნულიდან გამომდინარე ლ. ხ.-ს არ ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღის თაობაზე.

8.11 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი ლ. და ლ. ხ.-ებს ექნებოდათ შესაძლებლობა გამოცხადებულიყვნენ სასამართლო სხდომაზე, აღნიშნული არ ათავისუფლებდა ადვოკატს პასუხისმგებლობისგან არ გამოცხადებულიყო სხდომაზე, როგორც თავისი კლიენტის ინტერესების წარმომდგენი. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტი სასამართლოში წარმომადგენლობისთვის ადვოკატს საქმეს მისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამო ანდობს, რათა მისი საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის იმოქმედოს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობით ვ. და ვ. ხ.-ების ინტერესებს მიადგათ ზიანი და მათ წინააღმდეგ გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატ ნ. ც.-ს ჰქონდა შესაძლებლობა სასამართლო სხდომის ჩანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე მაინც ეცნობებინა თავისი კლიენტებისათვის მისი სხდომაზე შესაძლო გამოუცხადებლობის თაობაზე, რის შემდგომაც ვ. და ვ. ხ.-ების, როგორც მოპასუხე მხარის სასამართლოში გამოცხადებით მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ის ზიანი, რაც მათ საბოლოოდ მიიღეს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს უნდა გამოეჩინა სათანადო პროფესიული გულისხმიერება, მოსალოდნელი საფრთხე წინასწარ განეჭვრიტა და დროულად შეეტყობინებინა თავისი კლიენტებისთვის სასამართლო სხდომის თარიღი, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული დამდგარი შედეგი.

8.12 ინფორმირების ვალდებულება მოიცავს კლიენტისათვის მის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, ისე რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულება იყოს დროული და შედეგიანი კლიენტის ინტერესებისთვის. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებებით (სასამართლოსადმი მიმართული განცხადებებით) ვერ გამოსწორდა საჩივრის ავტორებისადმი მიყენებული ზიანი. ადვოკატის წარმოამდგენლის მ. ნ.-ის პოზიციით, საჩივრის ავტორებმა არ გადაიხადეს სააპელაციო სასამართლოში საჩივრის მიღებისათვის საჭირო სახელმწიფო ბაჟი და სწორედ ამიტომ შეუძლებელი გახდა საქმის შემდგომ ეტაპზე წარმოება. განხილვის კოლეგია მოცემულ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხი დადგა ადვოკატ ნ. ც.-ის სასამართლო სხდომის გამოუცხადებლობის გამო და შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროს ადვოკატს უნდა გაეცნობიერებინა თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა და ეცადა გამოესწორებინა კლიენტებისათვის მიყენებული ზიანი. განხილვის კოლეგია თვლის, რომ ადვოკატის მიერ არ იქნა გაწეული კვალიფიციური მომსახურება და დაირღვა ნდობის პრინციპი და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

8.13 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: "კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი

თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი".

8.14 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებულ პრაქტიკას ჰონორარის დაბრუნებასთან დაკავშირებით და უთითებს, რომ ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის N037/14 გადაწყვეტილებაში განმარტა, ,,რომ საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას"

8.15 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში".

8.16 ადვოკატმა ნ. ც.-მა ვ., ვ. და ლ. ხ.-ების საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარის სახით მიიღო 1000 (ათასი) ლარი. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ ადვოკატს არ განუხორციელებია შეთანხმების შესაბამისად საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის ფარგლებში, მათ შორის არ წარმოუდგენია კლიენტთა ინტერესები პირველი ინსტანციის სასამართლოში, რის შედეგადაც სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მართალია, ადვოკატის მიერ აპელაციის წესით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნული საპროცესო მოქმედებების განხორციელება გამოიწვია ადვოკატის უმოქმედობამ - სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლომ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატსა და საჩივრის ავტორთა შორის შეთანხმებული ჰონორარის ფარგლებში არ

განხორციელებულა ის იურიდიული მოქმედებები, რისთვისაც ადვოკატს მიმართეს და შესაბამისად დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

8.17 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატს გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა, საადვოკატო საქმიანობა განახორციელოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს ადვოკატის პროფესიას. თითოეული ადვოკატის ქმედება ზეგავლენას ახდენს ადვოკატთა კორპუსის და პროფესიის პრესტიჟზე და მისდამი საზოგადოების ნდობაზე. მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და ეთიკის კომისიამ უნდა იმსჯელოს, თუ რა სახის სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება შეიძლება იქნეს გამოყენებული მის მიმართ.

8.18 „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეები. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 2.5 მუხლის მიხედვით, „ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი“.

8.19 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში (საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017), ვრცელი განმარტება მიუძღვნა სახდელების შერჩევისას გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს და მიუთითა, რომ: „ადვოკატთა შესახებ“ კანონით გადაცდომისთვის დადგენილი სახდელი ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებს. სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია, ამასთან, მხედველობაში მისაღებია მანამდე არსებული პრაქტიკა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.“

8.20 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავს დარღვევებზე, მათ შორის მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის 2016 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება (დისციპლინური საქმე #096/14), რომლის მიხედვითაც, მოცემული საქმის მსგავსად, დადგინდა, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა კვალიფიციურობის, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ნდობის პრინციპი და აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი. აღნიშნული საქმის მსგავსად, ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე და არც სხდომის თარიღის თაობაზე უცნობებია კლიენტისათვის, „სხდომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ადვოკატმა წერილობითი შუამდგომლობით - სხდომის გადადების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ბებიის გარდაცვალების გამო. ადვოკატის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ადვოკატს არ ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება. სასამართლოს

მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში და მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა.“ ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „ადვოკატმა სათანადო გულმოდგინებითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები“. ადვოკატის მიერ გამომუშავებული ჰონორარის დაბრუნების თაობაზე ამავე გადაწყვეტილებაში კომისიამ მიუთითა, რომ „დადგენილია ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წარმომადგენლობისთვის მიღებული საზღაურის ნაწილის, რომელიც საკუთარი მომსახურებით სამართლიანად არ გამოუმუშავებია ადვოკატს, კლიენტისათვის დაუბრუნებლობის ფაქტი, რითად დარღვეულია აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი“. მოცემულ საქმეზე, ადვოკატს დისციპლინური პასუხიმსგებლობის ფორმად განესაზღვრა - გაფრთხილება.

8.21 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას განხილვის კოლეგია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა თავიდან აერიდებინა კლიენტებისათვის მისი გაუფრთხილებლობის შედეგად მიყენებული ზიანი; ადვოკატმა იმოქმედა არა საზიანო შედეგის თავიდან აცილებისთვის, არამედ შემდგომ, უკვე დამდგარი ზიანის გამოსწორებისთვის, მათ შორის მიმართა სასამართლოს განცხადებით, თუმცა მხოლოდ იმის თაობაზე მითითება, რომ მას სხდომაზე გამოცხადება დააგვიანდა - სასამართლომ არ ჩათვალა საპატიო მიზეზად. ადვოკატის მიერ სააპელაციო წესით ვ. და ვ. ხ.-ების საქმეზე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებით ვერ გამოსწორდა საჩივრის ავტორთა მიმართ მიყენებული ზიანი, რადგან არ იქნა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ადვოკატ ნ. ც.-ს არ მიაჩნია, რომ მისი ქმედების შედეგად საჩივრის ავტორებს მიადგათ რაიმე ზიანი. განხილვის კოლეგია სახდელის დაკისრებისას აგრეთვე ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას მისი ჩადენილი ქმედების მიმართ, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მას განზრახ არ მიუყენებია ზიანი ადვოკატის პროფესიისათვის, გადაწყვეტილების გამოტნის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ნ. ც.-ის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი.

8.22 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

8.23 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემული საქმის გარემოებებიდან და არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ადვოკატ ნ. ც.-ის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ა” პუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე, 36-ე მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 ნაწილებით, მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე 084/17 ადვოკატ ნ. ც.-ის მიმართ /სიითი N..../ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. ც.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თირნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/